საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის დისტანციური საარბიტრაჟო განხილვის პროტოკოლი

წინამდებარე პროტოკოლი განსაზღვრავს საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის (შემდგომში „GIAC”) საარბიტრაჟო წესებით მიმდინარე საარბიტაჟო პროცესში მოქმედ დამატებით წესებს და ამ საარბიტრაჟო პროცესში მონაწილეთა მოვალეობებს, როდესაც საარბიტრაჟო განხილვა წარიმართება არა პროცესში მონაწილე პირთა ფიზიკური დასწრების გზით, არამედ დისტანციური კომუნიკაციის საშუალებებით. ნებისმიერ შემთხვევაში საარბიტრაჟო პროცესი მიმდინარეობს GIAC-ის საარბიტრაჟო წესების შესაბამისად.

წინამდებარე პროტოკოლი მოქმედებს მაშინ, როდესაც მისი გამოყენებაზე არსებობს საარბიტრაჟო ტრიბუნალის გადაწყვეტილება ან/და მხარეთა შეთანხმება დისტანციურად საქმის განხილვაზე, ტელე-ვიდეო კონფერენციის სახით ან კომუნიკაციის სხვა საშუალების გამოყენებით. ყოველგავარი გაუგებრობის თავიდან ასარიდებლად, ამ პროტოკოლის მიზნებისთვის დისტანციურ საარბიტრაჟო განხილვაში იგულისხმება, როგორც პროცედურული კონფერენცია და შეხვედრები, ასევე ზეპირი მოსმენა.

იმ შემთხვევაში, თუ საარბიტრაჟო ტრიბუნალი გადაწყვეტს საქმეზე დისტანციურად გამართოს საარბიტრაჟო განხილვა, ისე რომ ამაზე არ იქნება საარბიტრაჟო დავის რომელი მხარის თანხმობა, საარბიტრაჟო ტრიბუნალი ვალდებულია გაითვალისწინოს საქმესთან დაკავშირებული ყველა გარემოება და წარმოადგინოს მისი გადაწყვეტლების შესაბამისი დასაბუთება.

I. ზოგადი წესი

1. დისტანციური საარბიტრაჟო განხილვის წარმართვა ხდება GIAC-ის მიერ უზრუნველყოფილი ონლაინ კომუნიკაციის ტექნოლოგიური პლატფორმის გამოყენებით. პლატფორმაზე ოფიციალურ წვდომას უზრუნველყოფს GIAC-ის სამდივნო.

2. GIAC-ის სამდივნო წინასწარ, სულ მცირე ერთი დღით ადრე ამცნობს საარბიტრაჟო ტრიბუნალს, საარბიტრაჟო დავის ყველა მხარესა და სხვა მონაწილე პირს პლატფორმაზე წვდომის დეტალებს და შესაბამის ინსტრუქციებს. მხარეებისთვის აღნიშნულის შეტყობინება მოხდება იმ ელექტრონული ფოსტის მისამართზე, რომელიც მხარეებმა მიუთითეს საარბიტრაჟო განხილვის საკითხთა შესახებ დადგენილებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც რომელიმე მხარე დადგენილების ძალაში შესვლის შემდგომ შეატყობინებს GIAC-ის სამდივნოს ელ. მისამართის ცვლილების შესახებ.

3. დისტანციურ საარბიტრაჟო დავის ყველა მხარე ვალდებულნია უზრუნველყოს კარგი სისწარფის ინტერნეტ კავშირის ქონა. ამასთან, საარბიტრაჟო დავის მონაწილეები ვალდებულნი არიან უზრუნველყონ ისეთ ტექნოლოგიას (ტელეფონი, კომპიუტერი და სხვა) წვდომა, რომელიც იძლევა ვიდეო გამოსახულების ჩვენების საშუალებას.

4. დისტანციურ საარბიტრაჟო განხილვას ესწრებიან საარბიტრაჟო ტრიბუნალი, საარბიტრაჟო დავის მხარეები ან/და მათი წარმომადგენლები, საარბიტრაჟო ტრიბუნალის მდივანი და GIAC-ის საქმის მენეჯერი. მოწმეები და ექსპერტები მონაწილეობას იღებენ დისტანციურ საარბიტრაჟო საარბიტრაჟო განხილვაში მხოლოდ მათთვის განსაზღვრულ დროს.

5. ტექნიკური ხარვეზებისა აღმოფხვრის ან სხვა ტექნიკური საჭიროებების მოგვარების მიზნით, დისტანციური საარბიტრაჟო განხილვის პროცესში შეიძლება ჩართულ იქნას ტექნიკური ადმინისტრატორი. ტექნიკური ადმინისტრატორის ვინაობა წინასწარ უნდა იყოს საარბიტრაჟო დავის მხარეთათვის ცნობილი. ამასთან, ტექნიკური ადმინისტრატორი ვალდებულია წინასწარ გაეცნოს და დაეთანხმოს კონფიდენციალობის წესებს შესაბამისი კონფიდენციალობის შესახებ შეთანხმების ხელმოწერით.

6. საარბიტრაჟო ტრიბუნალი დისტანციური საარბიტრაჟო განხილვის დასაწყისში ათანხმებს საარბიტრაჟო დავის მხარეებთან დისტანციური საარბიტრაჟო განხილვის თავისებურებიდან გამომდინარე საჭირო დამატებით წესებსა და ტექნიკურ დეტალებს, მათ შორის თუ როგორ მოხდება, საჭიროების შემთხვევაში, მოწმეთა და ექსპერტთა დაკითხვა, როგორ შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას პროცესის დაცულობა და კონფიდენციალობა, რა მოხდება კავშირის გაწყვეტის შემთხვევაში და ა.შ.

7. საარბიტრაჟო დავის მხარეები ან/და მათი წარმომადგენლები პასუხისმგებელნი არიან დისტანციური საარბიტრაჟო განხილვისას ისეთ გარემოში იყვნენ, რომელიც უზრუნველყოფს

მათ მიერ კონფიდენციალურობის ვალდებულების დაცვას და დისტანციურ საარბიტრაჟო განხილვაში შეუფერხებლად მონაწილეობას.

8. დისტანციური საარბიტრაჟო განხილვის ვიდეო და აუდიო ჩაწერას ახორციელებს GIAC-ის სამდივნო, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საარბიტრაჟო დავის მხარეები მოითხოვენ, რომ არ მოხდეს ვიდე და აუდიო ჩაწერის გაკეტება.

9. GIAC-ი, საარბიტრაჟო ტრიბუნალი და ტექნიკური ადმინისტრატორი არ არიან პასუხისმგებელნი თავად ტექნოლოგიური პლატფორმის ფუნქციონირებასა და დაცულობაზე (ჰაკერული წვდომისა თუ სხვაგვარი გაჟონვისგან) და პლატფორმის ფუნქციონირებიდან გამოწვეულ ზიანზე.

II. ზეპირი მოსმენის დისტანციურად გამართვის სპეციალური წესი

საარბიტრაჟო ტრიბუნალის გადაწყვეტილებით ან/და მხარეთა თანხმობით ზეპირი მოსმენის დისტანციურად გამართვისას, საარბიტრაჟო დავის მხარეთა მიერ საკუთარი პოზიციების წარმოდგენის თანაბარი შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად, საარბიტრაჟო ტრიბუნალმა უნდა გაითალისწინოს და განსაზღვროს შემდეგი:

ა) მხარეთა ფიზიკური ადგილსამყოფელი ზეპირი მოსმენის დროის განსაზღვრის მიზნით, ზეპირი მოსმენის დაწყების და დასრულების დრო და შესვენებების დრო;

ბ) ზეპირ მოსმენაზე დამსწრეთა იდენთიფიკაციის პროცედურა;

გ) მოწმეთა და ექსპერტთა იდენტიფიკაციისა და დაკითხვის პროცედურა;

დ) სხვა ლოჯისტიკური დეტალები.

II.1 დისტანციური ზეპირი მოსმენის დაწყებამდე გასატარებელი ღონისძიებები

1. საარბიტრაჟო ტრიბუნალმა ზეპირი მოსმენის დაწყებამდე უნდა გაიაროს საარბიტრაჟო დავის მხარეებთან ზეპირი მოსმენის დამსწრეთა სია.

2. საარბიტრაჟო ტრიბუნალმა საარბიტრაჟო დავის მხარეებთან უნდა შეათანხმოს ვირტუალური ოთახების არსებობა, სადაც საარბიტრაჟო ტრიბუნალის წევრებს, საჭირეობის შემთხვევაში, ექნებათ საშუალება განცალკევებულად განიხილონ საარბიტრაჟო პროცესის საკითხები.

3. საარბიტრაჟო ტრიბუნალმა უნდა უზრუნველყოს, რომ ზეპირი მოსმენის დაწყებამდე, მისი ნებისმიერი მონაწილე იქნება იდენტიფიცირებული. ხოლო, მოწმისა და ექსპერტის იდენტიფიცირება უნდა მოხდეს უშუალოდ დაკითხვის დაწყების წინ.

II.2 დისტანციური ზეპირი მოსმენის მიმდინარეობა

1. საარბიტრაჟო ტრიბუნალმა და საარბიტრაჟო დავის მხარეებმა უნდა უზრუნველყონ ზეპირი მოსმენის ჯეროვნად წარმართვა. აღნიშნული გულისხმობს, რომ საარბიტრაჟო დავის მხარეებმა წინასწარ უნდა განსაზღვრონ თუ ვინ იქნება ძირითადი მომხსენებელი, არ შეაწყვეტონონ ერთმანეთს საუბარი და მხოლოდ მას შემდეგ ჩაერთონ მასში, როდესაც ამაზე იქნება საარბიტრაჟო ტრიბუნალის თანხმობა.

2. სავალდებულია, რომ ზეპირი მოსმენის მონაწილეებს სწორად ჰქონდეთ მითითებული მათი სახელები და გვარები, რომელიც გამოჩნდება სპეციალურ პლატფორმაში. დაუშვებელია, რომ რომელიმე მხარე ან მისი წარმომადგენელი მესამე პირის სახელით ან ანგარიშით დაესწროს ზეპირ მოსმენას.

3. რეკომენდირებულია, რომ საარბიტრაჟო დავის მხარეებმა და მათმა წარმომადგენლებმა მათი სახელების და გვარების წინ მიუთითონ, თუ რომელ მხარეს წარმოადგენენ. მაგალითად: საარბირაჟო მოსარჩელე [სახლი და გვარი] და საარბიტრაჟო მოპასუხე [სახელი და გვარი].

II.3 მტკიცებულებათა წარმოდგენა და მოწმეთა და ექსპერტთა დაკითხვა

1. საარბიტრაჟო დავის მხარეებს შეუძლიათ გამოიყენონ ეკრანის გაზიარების ფუნქცია მტკიცებულებათა წარმოდგენის მიზნით.

2. ზეპირ მოსმენის მიმდინარეობისას მოწმეთა და ექპერტთა დაკითხვის მიზნით მოხდება მათი დისტანციურად ჩართვა მხოლოდ იმ დროის პერიოდში, როდესაც მოხდება მათი დაკითხვა. მხარეთა მოწმეების და ექსპერტების ზეპირ მოსმენაში მონაწილეობა უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაბამისი მხარის მიერ. შესაბამისი მხარე ვალდებულია წინაწარ მიაწოდოს ინფორმაცია მის მოწმეს ან/და ექსპერტს დისტანციურ ზეპირ მოსმენაში მონაწილეობისთვის საჭირო დეტალების შესახებ. ამასთან, მხარემ უნდა უზრუნველყოს, რომ მოწმეს ან/და ექსპერტს ექნება წვდომა ინტერნეტთან და შესაბამის ტექნოლოგიასთან და სწორად იქნება მითითებული მოწმის ან/და ექსპერტის სახელი და გვარი.

3. იმ შემთხვევაში, თუ საარბიტრაჟო დავის ერთ-ერთი მხარე მოითხოვს, რომ მისი წარმომადგენელი ფიზიკურად დაესწორს მეორე მხარის მოწმის ან/და ექსპერტის დისტანციურ დაკითხვას, ის მხარე რომლის მოწმეც ან/და ექსპერტიც იკითხება, ვალდებულია უზრუნველყოს მისი მოწმის ან/და ექსპერტის ისეთი ადგილიდან ჩართვა სადაც შესაძლებელი იქნება მეორე მხარის წარმომადგენელის დასწრება. ამასთან, აუცილებელია, რომ მხარეთა და მოწმის ან/და ექსპერტის მიერ სრულად და ჯეროვნად იქნას შესრულებული მათი ჩართვის ადგილად მოქმედი კანონის მოთხოვნები და ინსტრუქციები, მათ შორის სოციალურ დისტანცირებასა და უსაფრთოხების სხვა ნორმებთან დაკავშირებით.

4. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე მხარე ითხოვს მეორე მხარის მოწმის ან/და ექსპერტის დაკითხვაზე დასწრებას, აუცილებელია, რომ ამ მხარემ აღნიშნულის შესახებ ელ. ფოსტის მეშვეობით მიმართოს საარბიტრაჟო ტრიბუნალს, GIAC-ის სამდივნოსა და მეორე მხარეს, მოწმის ან/და ექსპერტის დაკითხივს თარიღამდე არანაკლებ 2 დღით ადრე.

5. მოწმეთა ან/და ექსპერთა დისტანციურ დაკითხვასთან დაკავშირებით რაიმე დაბრკოლების არსებობის შემთხვევაში, საარბიტრაჟო ტრიბუნალი მიიღებას შესაბამის გადაწყვეტილებას ზეპირი მოსმენის წარმართვასთან და მოწმეთა ან/და ექსპერტთა დაკითხვასთან დაკავშირებით.